ვინ ვის?

ლვოვი. ცენტრალური სტადიონი “დრუჟბა”. 22 ივნისი.

“კარპატი” (ლვოვი) – “დინამო” (თბილისი) 0:1 (0:1).

“კარპატი”: შვოინიცკი, როდინი, პოტოჩნიაკი, ჩორბა, ბონდარენკო, ბროვარსკი, ლიხანოვი, დუბროვინი, დანილიუკი (კიკოტი), პოდპალიუკი (საფრონოვი), კოზინკევიჩი.

“დინამო”: გოგია, ხიზანიშვილი, კანთელაძე, ხინჩაგაშვილი, კოსტავა, ქორიძე, მ. მაჩაიძე, გ. მაჩაიძე, ჩელებაძე (ჩივაძე), ყიფიანი, შენგელია.

მსაჯი: კ. სმირნოვი (ლენინგრადი).

გაფრთხილებული არიან ბროვარსკი და ხიზანიშვილი.

დუბლიორები – 1:1. გოლები გაიტანეს საფრონოვმა (ლვოვი) და მინაშვილმა (თბილისი).

შეხვედრა დაძაბულ და საინტერესო ვითარებაში წარიმართა. მასპინძლებმა ვერ გამოიყენეს სტუმართა კარის აღების რამდენიმე ხელსაყრელი შესაძლებლობა. თანაც მათს იერიშებს თბილისელთა დაცვა შესანიშნავად იგერიებდა. ფეხბურთში ბევრჯერ ხდება ასე, როცა ხანგრძლივი შეტევისას თვითონ ვერ გაიტან ბურთს, მას საკუთარ კარში მიიღებ. ასეც მოხდა. თბილისელთა ერთ–ერთი სახიფათო კონტრშეტევა გოლით დაგვირგვინდა. ეს ჩინებულად გააკეთა ყიფიანმა, რომელმაც მეტოქეთა კარის მარცხენა მხარეს მიიღო ბურთი. ლვოველთა მცველები და მეკარე ელოდნენ, რომ ყიფიანი ბურთს კარის ხაზის პარალელურად ჩააწოდებდა და წამოწყებულ კომბინაციას მისი რომელიმე თანაგუნდელი – დაამთავრებდა. მაგრამ ყიფიანმა კარგად შეაფასა შექმნილი ვითარება: მის მიერ დარტყმული ბურთი ჯერ კარიდან წინ გამოსულ მეკარეს თავზე გადაევლო და შემდეგ კარში ჩაეშვა. ეს მოხდა მე–40 წუთზე.

დარჩენილ დროში ლვოველებმა ბევრჯერ სცადეს წონასწორობის აღდგენა, მაგრამ ამაოდ. სტუმრებმა მოპოვებული მინიმალური უპირატესობა შეინარჩუნეს და ამ გამარჯვებით სატურნირო ცხრილის სათავეში მოექცნენ. თბილისელთა მსგავსად 15 ქულა აქვთ “ტორპედოს” და “ლოკომოტივს”, 14–14 – მოსკოვისა და კიევის დინამოელებს. ვინ უფრო ადრე შეკაზმავს ცხენს? ვინ გაიჭრება წინ? ერთი სიტყვით, პირველობისთვის ბრძოლა ერთობ გამწვავდა.

ვ. კოვალიუკი (ჩვენი კორ.).
“ლელო”, 25 ივნისი, 1977 წ.